FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

სერგი ბარამიძის ისტორია

სერგი ბარამიძე „მთავარი არხის“ ოპერატორია. მას ბრალად ედება პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, პოლიციელის შეურაცხყოფა (სამართალდარღვევა გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამარათალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით). ჯერჯერობით, მისი სასამართლო პროცესი არ ჩატარებულა.

სერგი 2024 წლის 19 ნოემბერს, თბილისის სახელმიწო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე, მელიქიშვილის გამზირზე დააკავეს. ის პირდაპირ ეთერში აშუქებდა საპროტესტო აქციას, სადაც მოქალაქეები გაყალბებული არჩევნებისა და „ქართული ოცნების“ ანტიდასავლური კურსის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

სერგი ბარამიძეს ზურგზე ეკიდა ე.წ „ლაივის“ აპარატი, მხარზე კი, ვიდეოკამერა ჰქონდა მომართული. შესაბამისად, სამართალდამცავებისთვის ადვილი მისახვედრი უნდა ყოფილიყო, რომ ის მედიას წარმოადგენდა. ბარამიძეს ნიღბიანები მოულოდნელად დაესხნენ თავს, რა დროსაც მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ყველაფერი ფიქსირდება უწყვეტი ვიდეოკადრებით, სადაც ჩანს, რომ დაზარალებულს დაკავებისას პოლიციისთვის არც წინააღმდეგობა გაუწევია, არც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია.

ბარამიძის დაკავების შესახებ, კომენტარი გააკეთა შსს-ს მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, რომელიც თავადვე არ იყო დარწმუნებული, რამდენად „სწორად“ მოხდა ოპერატორის დაკავება.

„რაც შეეხება ოპერატორის დაკავებას, ადმინისტრაციულად დააკავეს და ამაზე მიდის საქმე, სასამართლოშიც გადავა. იყო, რომ თითქოს არასწორად დააკავეს, შემთხვევით. ამაზე მე პასუხს ვერ გაგცემთ და ვერ გეტყვით ზუსტად.

შეხლა-შემოხლა იყო, ჩანს კარგად, ჯოხს ურტყამდნენ პოლიციელებს და ზუსტად იქ იდგა ეს ადამიანიც. მე არ ვამბობ, რომ ეს ადამიანი ურტყამდა ჯოხს, ამას არ ვამბობ. ძალიან ბევრი ხალხი იყო და ვერ გეტყვით, შეცდომა მოხდა თუ არა. გამოძიება დაიწყო სახელმწიფო ინსპექტორმა და დაველოდოთ.

თუ რამე დავაშავეთ, ჩემი თამადობით ვიტყოდი, პასუხს ვაგებ, მაგრამ ვერცერთ პოლიციელს, პირდაპირ გეუბნებით, თმის ღერი არ ჩამოუვარდება. თუ დავაშავეთ, კიდევ ერთხელ ვიძახი, ღირსეულად ჩვენს დანაშაულზე პასუხს ვაგებთ. ვერცერთ პოლიციელს ვერ დასჯის ვერავინ, თუ რა თქმა უნდა, დანაშაული არ ჩაუდენია", - თქვა გომელაურმა.

ძალადობრივი დაკავების შედეგად, სერგი ბარამიძეს აღენიშნებოდა სისხლჩაქცევების სახის არეში და გაუტყდა ნეკნი. გარდა ამისა, მის დაკავებას სამართალდამცავების მხრიდან თან ახლდა ცინიკური და შეურაცხმყოფელი კომენტარები: „გადაიღე, შენი დედა მოვ***ნ" და ა.შ. დაკავებულს დაუზიანდა „მთავარი არხის" კუთვნილი „ლაივ" ჩართვის აპარატი და ვიდეოკამერა.

დაკავების შემდეგ, სერგი კახეთის გზატკეცილზე მდებარე შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შენობაში გადაიყვანეს, საიდანაც სასამართლოში გამოცხადების შესახებ ვალდებულების ხელწერილით გაათავისუფლეს. დაკავებისას, მისთვის პირადი ნივთები არ ჩამოურთმევიათ. შენობის დატოვების შემდეგ, ბარამიძე თავად მივიდა საავადმყოფოში დაზიანებული ნეკნისა და თვალის სამკურნალოდ, სახელმიწიფოს კი, ამაზე რეაგირება არ ჰქონია.

მოგვიანებით, მომხდარზე გამოძიება დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტითა და 154-ე მუხლით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ძალადობით და ჟურნალისტის საქმიანობაში ხელშეშლას. არსებული ინფორმაციის მიხედვით, პოლიციელის ქმედება უფლებამოსილების გადამეტებასთან ერთად შესაძლოა შეფასდეს როგორც დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (სისხლის სამართლის კოდექსის 1443 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული).

სერგი გამოიკითხა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, მაგრამ მისთვის დაზარალებულის სტატუსი არ მიუნიჭებიათ. დაცვის მხარეს აქვს ძალადობისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ამსახველი ვიდეომასალა, მაგრამ სახელმწიფოს ჯერ არცერთი დამნაშავე პოლიციელი გამოუვლენია და მით უმეტეს, არ დაუსჯია.

აღსანიშნავია, რომ 10 დეკემბერს, საქართველოს მე-5 პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა სერგი ბარამიძე, მედიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, გამოვლენილი სამაგალითო სამოქალაქო თავდადებისათვის, განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და პიროვნული მამაცობისათვის დააჯილდოვა.